დანართი N15
დამტკიცებულია
სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის
დირექტორის ბრძანება N2-148. 04.07.2023

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა

2023 წელი

ვერიფიკაცია არის სკოლაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი.

მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე პასუხისმგებელია დირექტორი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი, როგორიცაა დარგის ექსერტები.

პროცესი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, ანუ ვერიფიკატორი არ იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობად შემუშავების პროცესში.

ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვინაიდან ყველა ინსტრუმენტის და მტკიცებულების ვერიფიკაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ეს შერჩევითი პროცესია. ამისათვის წინასწარ ფასდება თუ რა მოცულობის სამუშაო აქვს ვერიფიკატორს მიმდინარე წელს და არსებული რესურსების გათვალისწინებით რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი.

ამის შემდეგ რისკების ანალიზის საფუძველზე ხორცილდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ეს შეიძლება იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორი, პრაქტიკული დავალებების სიმრავლე, ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა და სხვა.

ვერიფიკაცია ხდება შერჩევით, მაგალითად ერთი და იმავე ინსტრუმენტის ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებების საერთო რაოდენობის 20% პროცენტი, ხოლო უარყოფითი შედეგების შემთხვევაში აღნიშნული მტკიცებულებები სრულად ფასდება, რის შემდეგაც განისაზღვრება შემდგომი რეაგირების მექანიზმები.

შემოწმების (ვერიფიკაციის) გარეშე ვერ მოხერხდება იმის გარანტირება, რომ შეფასების მოთხოვნები დაცულია და სწორადაა ინტერპრეტირებული;

შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს შეფასების ნიმუშების შერჩევას, მონიტორინგსა და კონკრეტული მასწავლებლის პრაქტიკის შესწავლას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება არის ზუსტი, ვალიდური და თანმიმდევრული (კონსიტენტური); ანუ იმის უზრუნველყოფას, რომ შემფასებლები (მასწავლებლები) შეფასების დროს იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.

შემოწმება (ვერიფიკაცია) მოიცავს სისტემებისა და პროცედურების ხარისხის უზრუნველყოფას შემდეგი გზით:

- შემფასებლების (მასწავლებლების) მხარდაჭერა და დახმარება უწყვეტი გაუმჯობესებისათვის;
- შეფასების მონიტორინგი რათა უზრუნველყოს, რომ შეფასება და რეგისტრაციის პროცედურები არის დაცული, თანმიმდევრული და სამართლიანი;
- მტკიცებულების შერჩევა, რათა მოახდინოს შეფასების გადაწყვეტილებების ვალიდაცია;
- იმის უზრუნველყოფა, რომ მტკიცებულებები (რომელთა საფუძველზე გადაწყვეტილებები მიიღება) ვალიდურია, საკმარისი, მიმდინარე, თანმიმდევრული (კონსისტენტური) და ავთენტური;
- იმის უზრუნველყოფა, რომ შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ჩანაწერები ხელმისაწვდომია როგორც თავად შეფასების განმახორციელებელი სკოლისთვის გასაანალიზებლად, ასევე შეფასების პროცესის გარე შემოწმებაზე (ვერიფიკაციაზე)

პასუხისმგებელი ორგანიზაციისთვის (მაგ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი);

- შიდა შემმოწმებლები (ვერიფიკატორები) ეხმარებიან მასწავლებლებს კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში იმისათვის, რომ ყველასათვის ნათელი იყოს მათი პასუხისმგებლობების სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასა და შეფასებასთან დაკავშირებით და რომ საჭირო რესურსები არსებობდეს; ასევე იმისათვის, რომ სკოლის ფარგლებში ყველა მასწავლებლის მიმართ მიდგომა თანმიმდევრული (კონსისტენტური) და ვალიდური იყოს.

შიდა შემმოწმებლებმა (ვერიფიკატორებმა) უნდა შეინახონ შეფასებისა და შემოწმების (ვერიფიკაციის) ზუსტი ჩანაწერები;

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, შიდა ვერიფიკატორები (შემმოწმებლები) არ იღებენ მონაწილეობას იმ შეფასების გადაწყვეტილებებში, რომელშიც ისინი თავად იყვნენ ჩართულები. ისინი ზრუნავენ შეფასებების ხარისხზე. გადაწყვეტილებაზე ზეგავლენა არ უნდა მოახდინოს ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა ან პირადმა ემოციებმა (მოწონება ან არ მოწონება). ამასთან მათ აქვთ საკმარისი დრო, რესურსი და სკოლის ფარგლებში საკმარისი ავტორიტეტი, რომ საკუთარი როლი ეფექტურად შეასრულონ.

ვერიფიკაციის პროცესის შედეგები აისახება შესაბამის დასკვნაში. დასკვნა უნდა იყოს ნათელი და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე სამართლიანი და ობიექტური. იდენფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.

ანგარიში აუცილებლად უნდა მოიცავდეს როგორს პროცესის აღწერას, შედეგებს და შეფასებებს, ასევე პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, სამოქმედო გეგმის პროექტს, ანგარიშს ხელს აწერს პროცესის პასუხისმგებელი და მონაწილე პირ(ებ)ი;

შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ვერიფიკაციის ანგარიშს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს დირექტორს;

ვერიფიკაციის შედეგების განხილვა ხდება დაწესებულებაში, განხილვაში მონაწილეობა შეუძლია, რგორც დაინტერესებულ მასწავლებლებს, ასევე სხვა პირებს, შეიძლება შეხვედრაზე მოწვეული იქნას დარგის ექსპერტები, უნივერსიტეტის/კოლეჯის წარმომადგენლები და სხვა.

დასკვნის განხილვისა და ანალიზის შედეგად განხილვაში ჩართულმა მხრეებმა უნდა შეაჯერონ პრობლემების აღმოფხვრის გზები. თუ საჭიროა რეგულაციებშიც განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

სკოლა დასკვნის და დასკვნის განხილვის საფუძველზე გადახედავს კურიკულუმს.